პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 43 (18585) კვირა, 20 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ხუთწლედი-წელი მესამე

გაზაფხულის შესახვედრად

დრო გვაჩქარებს

იწურება თებერვალი, გაზაფხული უკვე თავს გვახსენებს თბილი დღეებით. რესპუბლიკის მინდვრებზე გაჩაღებულია სახოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საქინფორმის კორესპონდენტები ქვემოთ გვიამბობენ, თუ როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება.

ახმეტა. რაიონში ზვრებს 6.292 ჰექტარი უკავია. მთელ ამ ფართობზე გასწლეს ვაზი, დაბარეს და გაწმინდეს მწკრივთშორისები, კარტოგრამას მიხედვით შეიტანეს საჭირო რაოდენობის სასუქები. ახლა მიმდინარეობს შპალერების რემონტი, გამოიყოფა 200 ჰექტარი ახალშენი ვენახებისათვის. მეგბალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად შემუშავებულია სიტყვიისაგან ვაზის დაცვის რეკომენდაციები. კერძოდ, ექსპერიმენტის წესით ორმოცი ჰექტარი ვენახი გადახურულია სპეციალური ბადით, რომელსაც აწარმოებს საგარეჯოს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი.

თელავი. ვადების გასწრებით დამთავრდა ზვრებში ნიადაგის ბარვა, სასუქების შეტანა, ვაზის სხვლა. ახლა მიმდინარეობს შპალერების შეკეთება 1000 ჰექტარ ფართობზე, რაც 100 ჰექტარით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

ქალაქის ზონის თხუთმეტ კოლმეურნეობას და თორმეტ საბჭოთა მეურნეობას ემხახურება წყალტუბოს თეხლის და ხარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია.

სურათზე: წყალტუბოს მარცვლეულის თეხლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის გამგე თამარ იოხელიანი ამოწმებს სათესლე სიმინდის მარცვალს.

ბ. ბერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხოხუმი. ბაბუშერის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის მინდვრებსა და პლანტაციებში დადგა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დრო. მექანიზატორები, რომლებიც დასაქმებული არიან ნემსიწყვერას, რეჰანის, სხვა ეთერზეთოვანი კულტურების ნათესების ხვნის სამუშაოებზე, დღეში ამუშავებენ ოთხ ჰექტარამდე მიწას, რაც მეტია გეგმით გათვალისწინებულზე. წინ არის ვ. ქებურია — მისი შედეგია ხუთი ჰექტარი. (საქინფორმი).

ბოლქვი. ადგილობრივი ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ერთობლივ ძალისხმევა გამოიჩინეს ბოლქვის ბაზრის ადგილობრივი ბოსტნეულით, ხილეულით, ხორცეულით, ძეხვეულით, ფეტვეულით, ბოსტნეულ-ბოსტნეულ-ბურღულეულ-ხორცეულ-ძეხვეულ-ფეტვ

პარტიული ცხოვრება: წერილები სასოფლო რაიონებიდან

ჩვენი რეზერვები — ძიება, ინიციატივა

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, თოვლის მოსვლა უდიდეს სიძნელეებს რომ უქმნიდა სვანეთს. მოუწყობელი გზების „წყალობით“ დიდთოვლობის დროს სოფელი სოფელს კვირაობით, თვეობით მოსწყდებოდა ხოლმე. ძნელდებოდა რაიონულ ცენტრთან დაკავშირება, — და ამიტომ რასაკვირველია, მართვაც.

ოთხი-ხუთიოდე წელიწადი სამარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სურათი რადიკალურად შეცვლილიყო. ახლა რაიონში შექმნილია სპეციალიზებული სამმართველო, რომელიც თოვლისაგან გზების გაწმენდის და სოფლებს შორის კავშირის შენარჩუნების სამუშაოებს ხელმძღვანელობს. მაგრამ ამ სამსახურის შექმნამდე ჯერ გზებს მივხედეთ.

1977 წლამდე რაიონში სულ 76 კომუნალური ბინა იყო. ამდენად ერთ-ერთი დიდი პრობლემა აქ ადამიანის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა გახლდათ. ამ ხუთი წლის განმილზე 170 ბინა გავანაწილეთ. ამავე პერიოდში „ავაშენეთ 4 საშუალო, 5 რვაწლიანი, 11 ღამის სასკოლო ინტერნატი, 220-ადგილიანი ტურბაზა, ამ ხუთწლედში მწყობრში ჩადგა საკავშირო ალპინისტური ბანაკი „ზესხო“. ლენტეხელები ტელევიზიის ფერად გადაცემებს უყურებენ. თანაც ორივე პროგრამას ვიღებთ — ლენინგრადსა და მოსკოვს.

ამ ბოლო წლების განმილზე ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა ჩვენთან. — ამათადან მეცხოველეობაზე მოვიფასენებთ, რადგან წამყვანი დარგი ჩვენთან სწორედ მეცხოველეობა გახლავთ. ჯერ კიდევ 1976 წელს ეს დარგი ძლიერ ჩამორჩებოდა. საჭირო იყო რაღაცალურ ღონისძიებათა განხორციელება. მაგრამ ვიდრე სატკივრის აღმოსაფხვრელად დაიკაბიწებ ხელებს, ყოველმხრივ უნდა გაანალიზო შექმნილი მდგომარეობა. ამ ანალიზმა, კერძოდ, ბიუროს წევრების მიერ ფერმებში მოწყობილმა საკონტროლო შემოწმებამ, მეტისმეტად უსიამოსურათი დაგვანახვა. საქმარისია ითქვას თუნდაც ის, რომ ერთ ძროხაზე საშუალოდ რაიონში 600 კილოგრამი რძე იწველებოდა.

რაიონულმა კომიტეტმა კადრებით დაიწყო. გადავახალისეთ მეცხოველეობაში მომუშავე პერსონალის უდიდესი ნაწილი, ძირითადად საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა დავასაქმეთ, რომელთათვის მაქსიმალურად გამოვიყენეთ მორალური თუ მატერიალური სტიმულირების სხვადასხვა ფორმა. განვამტკიცეთ პარტიული ბირთვი. ყველა ფერმაში შეიქმნა პარტიული ჯგუფები, რომლებსაც მოწინავე და ავტორიტეტული კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში. გადახალისდა აგრეთვე მეურნეობათა განყოფილებების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, პარტიული კომიტეტების შემადგენლობა, ამავამად ფერმებში მომუშავეთა 70 პროცენტი კომუნისტები არიან. ბევრი რამ გაკეთდა ფერმების კეთილმოწყობისთვის. მარტო მთებში 84 კილომეტრი გზა გავიყვანეთ, დავამონტაჟეთ აგრეთვე 1200 მეტრი სიგრძის საბაგირო გზა. ამ საქმეში დახმარება გაგვიწიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის სამინისტროებმა, „საქსოფლტექნიკის“ და საბაგირო გზების სახელმწიფო კომიტეტებმა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცხოველეობის აღმავლობისათვის მთავარი საკვებია. მთის რაიონში, სადაც მიწის ამგვარი დეფიციტია, განსაკუთრებით მწვავედ დგას საკვების პრობლემა. საჭირო იყო რაღაც სიახლის მოფიქრება, ორი-სამი წლის წინათ გაჩეთი „კომფუნისტი“ წერდა საკვების დამზადების ჩვენეულ მეთოდზე — მთის სხვადასხვაგვარი ბალახისა და ტყის ფოთლებისაგან ვამზადებთ სენაჟს. ახლა უკვე საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოცდილებამ გაამართლა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამის იმედით არ ვრჩებით. საკუთარი ძალებით შემოვაკავეთ 1800 ჰექტარი სათიბ-საძოვარი. გავანოყიერეთ ეს ტერიტორია მინერალური და ორგანული სასუქებით. ერთი სიტყვით, ჩვენს პირუტყვს საკვები სამყოფად აქვს.

მაგრამ მთავარი, მოგეხსენებათ, მიღწეული შედეგია და არა განხორციელებული ღონისძიებანი. აი ეს შედეგებიც: 1976 წელთან შედარებით ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა 58 კილოგრამით გაიზარდა, რძის წარმოება — 180 პროცენტით, ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარება — 142 პროცენტით, ხოლო რძისა — 218 პროცენტით. ერთ ფურაზე საშუალოდ იმავე პერიოდთან შედარებით 500 კილოგრამით მეტი იწველება, ყოველ 100 ფურაზე ნამატის მიღებამ 81 სული შეადგინა და, რაც მთავარია, პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 1976 წელს მეცხოველეობაში რაიონმა მიღიონ 426 ათასი მანეთი იზარალა, წარშანდელი წელი 130 ათასი მანეთი მოგებით დავამთავრეთ. ეს ციფრი თავისთავად შეიძლება მაინცდამაინც თვალისმომჭრელად არ მოჩანდეს, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის ფაქტორი, რომ ეს ხდება მთის პირობებში, დოები თავბრუს არ გვახვევს, პარტიის რაიონული კომიტეტის, მისი ბიუროს ყურადღების ცენტრში მუდამ არის ეკონომიკის საკითხები, ყოველკვარტალურად ვიხილავთ, თუ რა მდგომარეობაა ამა თუ იმ საბჭოთა მეურნეობაში. ასეთ სიფხიზლეს კარგი შედეგი მოაქვს, თავიდან გვაცილებს ბევრ მოსალოდნელ უსიამოვნებას. წარშან, მაგალითად, ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობაში, ვიცოდით რა, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერ იყო, შევამოწმეთ მისი სამეურნეო მონაცემები, აღმოვაჩინეთ ბევრი წვრილმანი დარღვევა, რომლებსაც მომავალში უთუოდ მოჰყვებოდა სერიოზული ჩავარდნები. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ყველაფერი მოწესრიგდა. ამგვარი პროფილაქტიკური მუშაობა, ერთი მხრივ, ხომ საქმეს წაადგა მოატრიალებს ხოლმე, მეორე მხრივ, კადრების მოსაღნელი უხეში შეცდომებისაგან დაცვის კარგი საშუალებაა. სწორი ხელმძღვანელობა მაკარი ნიკოლაევიჩ ეს არ არის, არამედ ადამიანთა აღზრდა და შეძლებისდაგვარად მათთვის დახმარებაა.

პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ადგილებზე გამოჩენილ ინიციატივებს, ზრუნავს, რომ რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ყოველი სასარგებლო წამოწყება. ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მუშაკებმა (მეურნეობის დირექტორი — ბ. გვიდიანი, ბრიგადირი — ზ. ზურაბიანი) წარშან გამოიჩინეს ინიციატივა — ყოველდღიურად წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 100 ლიტრით მეტი რძე მოეწველათ. მათ პირნათლად შეასრულეს სიტყვა (რთ ფურზე წარშან აქ საშუალოდ 1500 ლიტრი რძე მიიღს). ვალში არც მიმდევრენი დარჩენენ. ბევრ მეურნეობაში მკვეთრად ამაღლდა წველადობა.

მას შემდეგ, რაც სასურსათო პროგრამის შესრულება უპირველეს ამოცანად იქცა, ჩვენი მუშაობაც ამ მხრივ უფრო მიზანმიმართული გახდა. გამოსავალი რეზერვებია. უნდა გამოვნახოთ და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რომლებიც კი საერთო საქმეს წაადგება. ამგვარი ძიების ლოგიკურ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ნუტრიების სამეურნეოთაშორისო გაერთიანება, სადაც ძირითად საქმესთან ერთად გათვალისწინებულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საიალაღო სეგება.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ მთავარ პრობლემას, რომელიც მთის რაიონებს არათუ აწუხებდა, არამედ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, აფერხებდა მათს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს გახლავთ მოსახლეობის მიგრაცია. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მთის მოსახლეობამ განსაკუთრებით იგრძნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მზრუნველი ხელი, რესპუბლიკის მთავრობის დიდი დახმარება. ამ მიმართულებით გაწეული ენერგიული მუშაობის შედეგად წინათ დაცარიელებულ ბევრ სოფელს სიცოცხლე დაუბრუნდა. ხალხის კეთილდღეობისათვის განხორციელებული უდიდესი ღონისძიებანი, მსხვილი სამრეწველო ობიექტების ფილიალების მშენებლობა ხელს უწყობს მუშახელის შენარჩუნებას.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზებულმა წარმართვამ, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოებმა დიდად შეუწყო ხელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. თუ 1979 წელს ერთ კაცდღეზე საშუალოდ 1 მანეთი და 85 კაპიკი გაიცა, წარშან ამ თანხამ 6 მანეთი და 25 კაპიკი შეადგინა.

შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ ბოლო სამ წელიწადში ჩვენ მიგრაციის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს. პირიქით, უკან ბრუნდებიან წინათ წასული ოჯახები. შეიქმნა ახალი დასახლება სოფელი „ლექართა“, სასიკეთო ძვრების შედეგია ისიც, რომ ჩვენი კადრები დედაქალაქში დარჩენას ანდა სხვა, ბარის რაიონში წასვლას მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას ამჯობინებენ. ასე დაბრუნდა რაიონში საქართველოს ზოოტექნიკურ-საცდელი ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა ვეტექიმი მარინე ლიპარტელიანი, მუყაითი და თავის საქმის მოყვარული ქალიშვილი უკვე სკკ წევრობის კანდიდატია.

კარგად დაუფასდა შრომა ახალგაზრდა მეცხოველეს, ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის მუშას დარეკან ანხოფელს. წარშან იგი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. თავად ახალგაზრდა ახალგაზრდობას დამრგველობს.

საქმე, როგორც იტყვიან, ალუვსებელი საწყაულია. რაც მეტს აკეთებ, გასაკეთებელი მეტი და მეტი ჩნდება. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს მოუგვარებელი. ჩემი აზრით, პარტიის რაიონული კომიტეტის, მისი ბიუროს მუშაობის სტილი და მეთოდები ჯერ კიდევ დასახვეწია.

ხელმძღვანელი კადრების აღზრდისათვის გაწეული მუშაობა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ნაკლოვანებანი გვაქვს არსებული რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების საქმეში, რაშიც ბევრი მეტი დახმარების გაწევა შეუძლიათ რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებას. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სრულიად გაუმართლებლად აქაანუქრებს ჩოლურის მარმალოლის გადახსნისა და მოპოვების სამუშაოებს, ქარხნის მშენებლობის დამთავრებას, რომლის ყოფა დიდი ხანია გასულია. კულტურის სამინისტრომ ვერ შეასრულა დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ... ანდროპოვმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა სასურსათო პროგრამის და მისი რაც შეიძლება სრულყოფილად განხორციელების უდიდეს მნიშვნელობას. ჩვენთან მიმდინარე ხუთწლედში პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს სასურსათო პროგრამა. ამის რეალური საფუძველი გვაქვს. სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოუქცეველი მიწების მიჩენა მოსახლეობისათვის კოოპერირების წესით, საკვები ბაზის განმტკიცება და შრომის ორგანიზაციის სწორი მოწყობა საშუალებას მოგვცემს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა ორივე სექტორში ოცდახუთ ათას სულამდე გავზარდოთ (აქედან 17 ათასი გვყავს).

უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ სახალხო მეურნეობის საგნების გამოშვებას. ამოქმედდება მარმარილოს ქარხანა. სამთო-ქიმიური ქარხანა გამოუშვებს სახალხო მეურნეობისთვის უაღრესად საჭირო დეფიციტურ პროდუქციას. გაფართოვდება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ლენტეხის სამკერვალო ფაბრიკა, ადგილობრივი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ობიექტები, რის შედეგადაც წინა ხუთწლედთან შედარებით შეიძლება და მეტად გაიზრდება პროდუქციის რეალიზაცია. ხუთწლედის ბოლოსათვის დამთავრდება ლენტეხ-ჩიხარეშის 44 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური გზის მოასფალტება, რაც იმის რეალური საფუძველს შექმნის, რომ გაგრძელდეს ლენტეხ-აილამის, უშგულ-მესტიის ალპური ზონის ტურისტული ტრასის მშენებლობა, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, ევროპაში ერთ-ერთი სიუკეთესო იქნება.

ლენტეხელ მშრომელებს, კომუნისტებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი სამომავლო ამოცანა. კარგად ვიცით, რომ წარმატებისათვის ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებით იწყება. ამიტომ რაიონში მიმდინარე პარტიულ კრებებზე კომუნისტებმა მთელი სიმწვავით განიხილეს ეს საკითხი.

დიახ, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, სანმიშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის შეუნელებელი ბრძოლის საკითხები ბოლო წლებში მუდამ იდგა ჩვენი აურაფდღის ცენტრში, მაგრამ ამ მხრივ მეტის გაკეთება გვმართებს ახლა, როდესაც გულდასმით განვიხილავთ და ვსწავლობთ, ადგილობრივ პირობებს ვუსადაგებთ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე საკავშირო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის დებულებანი უნდა გახდეს და გახდება კიდეც ჩვენი საქმიანობის მთავარი ორიენტირი.

გ. გუნავა,

საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი.

ბუღალტერზე ნარკვევი უნდა დაგწერო. ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ზაურ ვასაძის კანდიდატურა შემომთავაზა. ვზივარ და გულისყურით ვუსმენ ამ კაცს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსს.

პირველი შთაბეჭდილება ხშირად უტყუარია. ახლაც თუ გამართლდა, მაშინ ჩემი მოსაუბრე რბილი, დამყოლი ხასიათის ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, ოღონდ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ნებისყოფის სიმტკიცე აკლდეს. პირიქით, იგი თავისი საქმის ბოლომდე ჩამყოლი და ერთგული რომ არის, ამას წერილიდანაც შეიტყობთ.

— ნათქვამია, — ამბობს ზაური, — სოფლის მეურნეობის აღრიცხვის მუშაკებსაც უდგათ „ჭირნახულის აღების“ დრო, იანვრის დამლეგს და თებერვლის დამდეგს იწყება იგი, როცა წლიური ანგარიში ბარდებიო.

წლიურ ანგარიშს ხომ ყოველდღიური, შეუსვენებელი, მართლა ჭირნახული შრომა უძღვის წინაცის შემყურე მეურნესავით დღეკანდელ საქმეს სახვალიოდ რომ ვერ გადადებ, გადადებ და შეცდომას დაუშვებ, ან თავად იზარალებ ან სახალხო საქმეს აზარალებ.

— არ დამავიწყდება, კოლმეურნეობაში ინვენტარიზაცია ტარდებოდა, — განაგრძობს მოსაუბრე — საბუთებში რამდენიმე ასეული კილოგრამი სიმინდის ნაშთი იყო დარჩენილი. სიმინდი მოიძიეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და ბუღალტერმა ერთმანეთს შეხედეს და ერთდროულად იტაცეს თავში ხელი: ეგ სიმინდი ხომ დავთესეთ, ჩამოწერა კი დაგვვიწყებიაო. სიმინდი დანაკლისში ჩაუთვალეს. ასეა, აღრიცხვის მუშაკს ფიზიკური, დაკვირვებული მოქმედება და რუდუნება მართებს.

თავად განსაჯეთ ბუღალტრის ყოველდღიური შრომის სიგრძე და განი, თუ მეურნეობის სხვადასხვა საქმიანობის ასასახავად პირველადი საბუღალტრო აღრიცხვის სამასზე მეტი დასახელების ფორმა აქვს შესავსები. ხოლო სამეურნეო მექანიზმის მართვის სრულყოფის კვალობაზე კიდევ უფრო გართულდა აღრიცხვის საქმე.

მხედველობაში გვაქვს ისეთი სიახლეები, როგორიც არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესი, რომელმაც მეურნეობის საბუღალტრო საბუთებსა და დავთრებში მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ასახვა და ანგარიშსწორება მოითხოვა.

ბუღალტერიო, რომ იტყვიან, თვალწინ წარმოგიდგებათ ქაღალდები ჩაფლული შუახნის, სათვალიანი მამაკაცი თავისი განუყრელი საანგარიშოთი. ეს წარმოდგენა მოძველებულია.

ახლა ბუღალტერი აღჭურვილია მრავალნაირი გამომთვლელი მანქანით. არის სააღრიცხვო ფორმების გამარტივებისა და სრულყოფის ტენდენციაც. მაგალითად, აღრიცხვის ძველი მემორიალურ-ორდერული ფორმის ნაცვლად მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე უნდა დაინერგოს ჟურნალ-ორდერული აღრიცხვის პროგრესული ფორმა, რომელიც 50 პროცენტით ამცირებს ანალიზური აღრიცხვის დავთრებში ჩანაწერების რაოდენობას, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ბუღალტრის შრომის შემსუბუქება მომავლის საქმეა.

შრომის სირთულე!.. იქნებ ეს არის მიზეზი, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება ამ პროფესიას? არადა, ცხოვრება წინ მიდის. პროგრესი კი სპეციალისტისაგან სულ უფრო მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს.



ერთი მაგალითი(ვ იკმარებს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შედეგი მოსდევს ბუღალტრის უცოდინარობასა და მის უნებლიე შეცდომას. სამტრედიის რაიონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელ სამეურნეობათაშორისო საწარმომ ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საბრუნავი ფონდის შესავსებად 400 ათასი მანეთი მიიღო. ბუღალტერმა იმის ნაცვლად, რომ ეს თანხა საწესდები ფონდების გადიდებაში ჩაეწერა, დანარჩენ შემოსავალში ჩაწერა და წლიური ანგარიშის მცდარი ფინანსური სურათი წარმოადგინა: ფაქტობრივი 520 ათასი მანეთი ზარალის ნაცვლად საწარმოს ბევრად ნაკლები —120 ათასი მანეთი ზარალი გამოუყვანა.

შეკითხვებით ვცდილობ საზოგადოდან ახლა პირადულ ამბებზე გადავიყვანოთ მოსაუბრე, მაგრამ თავის თავზე ლაპარაკს ერიდება, ნიადაგ აღრიცხვის საქმის პრობლემურ თემას უტრიალებს. იქნებ ეს არის მთავარი შტრიხი — პროფესიის უსაზღვრო სიყვარული... ნამდვილად ასეა, ბუღალტრის საქმიანობის ჭირ-ვარამი ადამიანს გულზე მაშინ მოეკიდება, როცა ამ პროფესიის მიმართ იგი გულგრილი არ არის.

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ზაურ ვასაძემ აღრიცხვის საქმეს დიდი ამაგი დასდო. ამაგი კი ყოველთვის გაყვარებს შენს პროფესიას. 1958 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საგგამო განყოფილებაში, იქიდან მახარაძის რაიონში გადადის სამუშაოდ და სხვადასხვა დროს არის ნასაკირლის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ეკონომისტი, ჯუმათის კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი, ნაგომარის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი, მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების გამგე. 1963, 1966-67, 1973-75 წლებში მიავლინეს კუბაში, პროვინციულ სასოფლო-სამეურნეო სამმართველოებსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაგეგმვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხების სწავლება-დანერგვისათვის.

ყველგან პატიოსნად, ერთგულად და სანიმუშოდ უძღვება საქმეს, დროულად და მაღალ დონეზე ანაბარებს წლიურ ანგარიშებს. მისი დაწინაურება და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში გადმოყვანა სწორედ მუშაობაში გამორჩეულობის შედეგი გახლავთ.

ბუღალტერი მნიშვნელოვანი ფიგურაა მეურნეობაში. მის მტკიცე პარტიულ პოზიციაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოების წინსვლა, რადგან იგი ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციას, კონტროლს უწევს მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსების ეკონომიურ გამოყენებას, სოციალისტური საკუთრების დაცვას.

ეს მოვალეობა დიდ უფლებებსაც ანიჭებს აღრიცხვის მუშაკს და მის უნარიან გამოყენებას ბევრი სარგებლობს მოტანა შეუძლია.

ყველამ ვიცით, რა მძიმე შედეგი მოჰყვება ხოლმე იმას, როცა წარმოების ხელმძღვანელსა და ბუღალტრის შორის კონფლიქტია. ზოგჯერ ხელმძღვანელი წარმოების ინტერესებისათვის მოითხოვს უკანონო განკარგულებაზე ბუღალტრის ხელის მოწერას, მაგრამ იგი არ ემორჩილება და წერილობით აუწყებს ხელმძღვანელს განკარგულების უკანონობას. უფროსის მხოლოდ ხელმეორე წერილობითი განკარგულების შემდეგ ბუღალტერი ასრულებს მას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელს და იგი მოვალეა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ზემდგომ ორგანოს.

აი ასეთი დედაბოძია წარმოებისათვის ბუღალტერი და თუკი იგი მართებულ პოზიციებს არ დათმობს, წარმოების საქმეს წინ წასწევს.

— საუბარი გაგვიგრძელდა, მაგრამ რადგან ბუღალტრის შრომით დაინტერესდით, რაც იშვიათად ხდება, სათქმელს ბოლომდე ვიტყვი.

ბუღალტერს აკლია მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, იგი რატომღაც მივიწყებულია. ავიღოთ, თუ გნებავთ, პრესა. ვის არ ნახავთ გაზეთის ფურცლებზე: მოწინავე მეჩაიეს, მევეხანეს, მეფოლადეს, მოსწავლეს, მეცნიერს, ხელოვანს. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ რატომ არის მათ შორის გამონაკლისი ბუღალტრის შრომა? უფრო ხშირად აღრიცხვის მუშაკს დიდ ჯაფას უშვალოდ მისი უფროსიც ვერ ხედავს. თუმცა ზოგჯერ წარმოების ხელმძღვანელები საქმის გაფუჭების მთელ პასუხისმგებლობას ბუღალტერს აკისრებენ და აი ასეთი კეთილშობილებიც ხდება ხოლმე: ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში ინვენტარიზაციას რომ ატარებდნენ და დირექტორს არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითეს, მან თავი „იმართლა“: არ ვიცი, ბუღალტერმა რა გადათვალა იქაო. ხედავთ, ზემო ალვანში მთელი ეს საქმე მხოლოდ ბუღალტრისთვის მიუნდევიათ!

წარმოების ხელმძღვანელი საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარეა, ბუღალტერი კი კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების გამფორმებელი. პირველადი საბუთების დროული შედგენა დანაშაულს გამორიცხავს. ამას თვალყური ბუღალტერთან ერთად უპირველესად წარმოების ხელმძღვანელმა უნდა ადევნოს.

— კიდევ ერთ გულისტკივილს გაგიმხელთ და ამით დავამთავრებ. ცხოვრებაში როგორღაც დამკვიდრდა, რომ წარმოების წლიური ანგარიში, ხატოვნად რომ ვთქვათ, მხოლოდ ბუღალტრის თავში საცემია. მაშინ როცა, ვთქვათ, მეურნეობის წლიურ ანგარიშს მთავარ ბუღალტერთან ერთად ხელს აწერენ: მთავარი ეკონომისტი, მთავარი აგრონომი, მთავარი ინჟინერი, მთავარი ზოოტექნიკოსი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

ახალციხის აგროსამრეწველო გაერთიანებამ წარმოადგინა კოლმეურნეობების შარშანდელი წლიური ანგარიშების ნაერთი, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერდა მთავარი ინჟინერიც, მაგრამ, ეტყობა, მას შიგ არ ჩაუხედავს, რადგან კაპიტალური დაბანდების ხარჯები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა და ისინი მეურნეობის დარგების მიხედვით არ იყო გაშიფრული. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ხელმომწერები არ აანალიზებენ წლიური ანგარიშის იმ უბანს, რომელსაც ხელმძღვანელი ხელს ანერენ.

ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა საბიუჯეტო და სამეურნეო საწარმოების ბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის მეთოდიკური ხელმძღვანელობა, პერიოდული და წლიური ანგარიშების მიღება-დამუშავება, წლიური ანგარიშების ნაერთის შედგენა, მათი საკავშირო და რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში წარდგენა. ამ მოვალეობას რაც შემიძლია გულმოდგინედ ვასრულებ. მაგრამ ვიცი, ბუღალტრის შრომა მარტო ჩვენი, სამინისტროს დახმარებით არ შემსუბუქდება. იგი მეტ საზოგადო ყურადღებას, დახმარებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, რომ დროის შესაფერის დონეს გაუტოლდეს.

ისევ დავბრუნდეთ, დავეთანხმოთ მოსაუბრეს და არსებული პრობლემების მოწესრიგებაც ვისურვოთ.

ნ. ნორაკიძე.

ბუღალტერი

— პროფესიის უსაზღვრო სიყვარული... ნამდვილად ასეა, ბუღალტრის საქმიანობის ჭირ-ვარამი ადამიანს გულზე მაშინ მოეკიდება, როცა ამ პროფესიის მიმართ იგი გულგრილი არ არის.

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ზაურ ვასაძემ აღრიცხვის საქმეს დიდი ამაგი დასდო. ამაგი კი ყოველთვის გაყვარებს შენს პროფესიას. 1958 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საგგამო განყოფილებაში, იქიდან მახარაძის რაიონში გადადის სამუშაოდ და სხვადასხვა დროს არის ნასაკირლის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ეკონომისტი, ჯუმათის კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი, ნაგომარის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი, მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების გამგე. 1963, 1966-67, 1973-75 წლებში მიავლინეს კუბაში, პროვინციულ სასოფლო-სამეურნეო სამმართველოებსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაგეგმვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხების სწავლება-დანერგვისათვის.

ყველგან პატიოსნად, ერთგულად და სანიმუშოდ უძღვება საქმეს, დროულად და მაღალ დონეზე ანაბარებს წლიურ ანგარიშებს. მისი დაწინაურება და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში გადმოყვანა სწორედ მუშაობაში გამორჩეულობის შედეგი გახლავთ.

ახალი ასორტიმენტის საკორდე ქსოვილი

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მთავარ ინჟინერს ბ. გოგუაძეს იშვიათად ნახავთ კაბინეტში, მუდამ საამქროებშია. იქ, სადაც მუშები და ინჟინერ-ტექნოლოგები მატერიალურ დოვლათს ქმნიან. იგი ყოველთვის ახლის ძიებაშია. ახლახან მისი წინადადებით აქ მოიწონეს ველოსიპედის საბურავთა წარმოებისათვის ახალი ასორტიმენტის საკორდე ქსოვილის მიღების იდეა. მანვე შემოიკრიბა საწარმოს გამოცდილი, წამყვანი სპეციალისტები, დახმარებისთვის მიმართა ცენტრალური ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითს სექტორს და მიზანიც ცხადად გამოიკვეთა — დაიწყო ძიება, ცდები, ექსპერიმენტები, შემოქმედებითი კავშირი დამყარდა სინთეზური ბოჭკოების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან. ახალი ასორტიმენტის საკორდე ქსოვილის მიღების საქმეს სათავეში ჩაუდგა აღნიშნული ინსტიტუტის კორდისა და ტექნიკური ქსოვილების ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ფრიდმანი.

შარშან მიიღეს ახალი ასორტიმენტის მრავალი საცდელი სახეობის საკორდე ქსოვილი, რომელთა გამოცდა წარმოდგა რიგორც რუსთავის საწარმოში, ასევე კიროვის, ომსკის, ვორონეჟის საბურავების ქარხნებსა და მოსკოვის საბურავების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ომსკის ფილიალში.

მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო შემოქმედებითი კავშირის შედეგად რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მიიღეს ახალი ასორტიმენტის საკორდე ქსოვილი, რომელსაც მაღალი საწარმოოტექნოლოგიური თვისებები აქვს და ეფექტიანად იყენებენ წარმოებაში.

ამ ცოტა ხნის წინათ სინთეზური ბოჭკოების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს მოადგილის ვ. უსტინოვის თავმჯდომარეობით კომისიამ რეკომენდაცია მისცა ახალი ასორტიმენტის „6-ენტს“ მარკის საკორდე ქსოვილს წარმოებაში დასანერგად.

ასე აითვისეს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ახალი ასორტიმენტის მაღალეფექტიანი საკორდე ქსოვილი, რომლის სერიული წარმოებაც დაწყებულია.

ა. ზვიადაური.

მსჯელობენ წიგნის მოყვარულნი

„**ზრაფიი**“ კოლექტივი — ჟანსაღი ატმოსფეროს შექმნის, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მძლავრი უჯრედი“,— ასე ეწოდება წიგნს, რომლის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი დავით კაკაბაძე. ბუნებრივია, აქტუალურ თემაზე შექმნილმა წიგნმა ფართო მკითხველს, უწინარეს ყოვლისა, პარტიულ მუშაკთა, პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ინტერესი გამოიწვია. ამის კონკრეტული გამოხატულებაა შეხვედრა, რომელიც შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში გაიმართა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წევრთა თაოსნობით.

საქმიანი, კონკრეტული იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. რეზვიაშვილის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის კ. მგალობლიშვილის, ინსტიტუტის ინფორმაციის განყოფილების გამგის დ. კალანდაძისა და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარის თ. კეპულაძის გამოსვლები.

შეხვედრის დასასრულ წიგნის

19 თებერვალი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკვლევი იუწყება

დიდი დაფასება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1983 წლის 21 იანვარს მიიღო გადწყვეტილება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოში კონიაკის წარმოების ფუძემდებლის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად. წელს მას დაბადების 135 წელი უსრულდება.

„გიგალიან დღენი, თვენი, წელნი და დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ხსოვნას ქართული განათლების ისტორიიდან ვერავინ ამოშლის, ვერავინ ამოფხეკავს, მას ყოველთვის სპპატო ადგილი ექნება დატოვებული და შთამომავლობას გადასცემს მის ხსოვნას, ვინაიდან მისგან გაზრდილის და განათლებულის ქართველთა შვილებით და შვილიშვილებით იქნება მთელი საქართველო სავსე“, — ნათქვამია თვალსაჩინო სპეციალისტის ზ. ჭიპინაძის წიგნში „ბრეწველობა, ვაჭრობა, ხელოვნება საქართველოში“.

დავით სარაჯიშვილი ყოველნაირად უწყობდა ხელს ქართველ ახალგაზრდობას, განათლება მიეღო რუსეთში და საზღვარგარეთ, ყოველწლიურად გამოუყოფდა მათ სტიპენდიებს 20-30 თასი მანეთის ოდენობით. მის სტიპენდიატებს შორის იყვნენ დმიტრი არაყიშვილი, მელტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ვანო სარაჯიშვილი და ეროვნული კულტურის ბევრი სხვა შესანიშნავი წარმომადგენელი.

როგორც აკადემიკოსი ა. შანიძე გადმოგვცემს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1909 წლის ივნისი) სწავლის გასაგრძელებლად იგი ამირებდა პეტერბურგს გამგზავრებას, ხოლო, როცა ქუთაისიდან თბილისს ჩამოსულა, მას ცახელის წერილი წამოუღია იაკობ გოგებაშვილისათვის გადასაცემად. „მე ვნახე იგი (ი. გოგებაშვილი) მის ბინაზე, არ დამავიწყდება მისი თბილი მიღება, ტკბილი საუბარი და მამობრივი დარიგება... იაკობის შუამდგომლობით მოხდა, რომ მე დავით სარაჯიშვილის ფონდიდან ერთდროულად დახმარების სახით 100 მანეთი მომცეს, რაც კარგად გამომადგა უნივერსიტეტში ახლად ჩარიცხულ სტუდენტს პეტერბურგშიო“.

თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა თითქმის არც ერთი დიდი თუ პატარა საზოგადოებრივი წამოწყება, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღო და წვლილი არ შეეტანა დ. სარაჯიშვილს, — იქნებოდა ეს თეატრებისა თუ მუზეუმების მოწყობა, სკოლებისა და ხიდების აშენება, წიგნებისა თუ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობა და სხვა. იგი პირველი იყო, რომელმაც 1905 წელს 8 საათიანი სამუშაო დღე შემოიღო თავის ქარხნებში. იქვე გახსნა უფასო ბიბლიოთეკა, „საკვირაო სკოლები“, ჰქონდა ურთიერთდამხმარე სალაროები, შემოიღო მუშათა დაზღვევა. არტურ ლაისტი წერდა „იგი მუშაობდა დაუღალავად, ყოველთვის ფიქრობდა იმ სასარგებლო საქმეზე, რომელიც შეეძლო მოეტანა მას. თავისი ხალხისათვის“.

დ. სარაჯიშვილი დაიბადა 1843 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. 1866 წელს წარმატებით ამთავრებს პირველ კლასიკურ გიმნაზიას. იმავე წელს ირიცხება პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ერთი წლის შემდეგ კი სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება გერმანიაში. აქ იგი 1871 წელს ამთავრებს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტს ქიმიის მეცნიერების დოქტორის ხარისხით და ამავე წელს იცავს დისერტაციას ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერი როდი სჯერდება მიღებულ ცოდნას. 6-7 წლის განმავლობაში იგი ინტენსიურად სწავლობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, ხოლო 1878-1879 წლებში გადადის საფრანგეთში და ეუფლება მევენახეობა-მეღვინეობის თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნას. ვანსაკუთრებით გაიტაცა იგი კონიაკის წარმოების ტექნოლოგიამ.

1884 წელს დ. სარაჯიშვილი თბილისში აშენებს დიდი კონიაკის საწყობს (ხსნის ლაბორატორიას, ატარებს ცდებს), კარებით შემოაქვს საფრანგეთიდან კონიაკები, მის ბაზაზე 1888 წელს აგებს კონიაკის ქარხანას და ამავე წელს იღებს პირველ ქართულ კონიაკს. მომდევნო წლებში კი აქ თავს უყრის კავკასიის, ყიზლარის, ერევნის კონიაკების სპირტს და იწყებს ჯერ საერო, ხოლო შემდეგ სამრკო კონიაკების დამზადებას. მარტო 1891-1900 წლებში გამოშვებული იქნა ორ მილიონამდე ბოთლი კონიაკი, ხოლო 1889-1913 წლებში მისი ფირმის პროდუქციამ საერთაშორისო გამოფენაზე 14 ჯილდო მიიღო.

დავითის სახლი ერთგვარი ლიტერატურული სალონი იყო, სადაც თავს იყრიდნენ იმდროინდელი ცნობილი ქართველი, რუსი და უცხოელი მეგობრები. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ: ილია, აკაკი, ი. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, დ. ერისთავი, ალ. ცაგარელი, ვ. გუნია და სხვები. სწორედ მის სალონში წაიკითხა პირველად ილიამ „განდეგილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

დავით სარაჯიშვილი 1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა. სამ მილიონ მანეთზე მეტი დაუტოვა თავის ერს (მუშებს, მოსამსახურეებს, მოსწავლე-სტუდენტობას, გიმნაზიას და ა. შ.). მისი სახლი კი ქალაქის თვითმმართველობას გადაეცა სმახტვრო გალერიის, ან ხელოვნებისა მუზეუმის გასახსნელად.

აკაკი წერეთელმა მის ცხედარს ასე მიმართა:

„ჩვენ რომ ვერ დაგივიწყოთ, ეს გასაკვირველი არ არის, მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი ჩამომავლობაც“.

ამის საუკეთესო დასტურია გადაწყვეტილება, რომ კონიაკის ქარხანაში დაიდგას მისი ბიუსტი, აქვე გიახსნას დ. სარაჯიშვილის მუზეუმი, გაუკეთდეს მემორიალური დაფა როგორც ქარხანას, ისე მწერალთა კავშირის სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ა. სტეფანიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
(საქინფორმი).

ეს-ეს არის გამოიცა

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა მესამე ტომი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მესამე ტომი. გამოცემის მთავარი რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დავით ჩხეკაძიშვილი.

ტომში შეიდა საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდის — XIII-XV საუკუნეების მასალები. გამოქვეყნებული მასალები მოწმობს, რომ მათმა ავტორმა შეისწავლა, კრიტიკულად გააანალიზა და გადაამუშავა არსებული ან მის მიერვე აღმოჩენილი პირველწყაროები და ლიტერატურა, თავისი შეხედულება დააასაბუთა ძირითადი ისტორიული პროცესებით.

ამ ნაშრომში ი. ჯავახიშვილმა ნაკლები ყურადღება დაუთმო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს. ეს მშობლიური ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილე მეცნიერის იმ მოსაზრებით არის განპირობებული, რომ მცირერიცხოვანი ხალხის ისტორიის გაშუქებაში პოლიტიკურ მოვლენებს უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს. ისიც გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდში მეცნიერმა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესწავლის პრობლემებს მიუძღვნა ფუნდამენტური შრომები — „ქართული სამართლის ისტორია“ და „საქართველოს ეკონომიკური განვითარება“, რომლებსაც თორმეტტომეულის ოთხი წიგნი დაეთმობა.

საქართველოს XIII-XV საუკუნეების პერიოდის ისტორიის შექმნის დღიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფასდაუდებელია.

მესამე ტომის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მამია დუმბაძე. უახლოეს ხანში ხელმომწერნი მიიღებენ ახალ გამოცემას.

მეცნიერული განხილვები

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი სამეცნიერო ინსტიტუტების ინიციატივით სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტში მოეწყო განხილვა გ. მგელაძის წიგნისა „ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა“. შესავალი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკურ გამგეობასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ბერძენიშვილმა. მოხსენება წაიკითხა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა ვ. ბურკაძემ.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის წამყვანმა მეცნიერმა სპეციალისტებმა: პროფესორმა პ. ჟღენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა ნ. შონიამ და რ. ანდღულაძემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ბიწაძემ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის წარმომადგენელმა და სხვებმა.

როგორც მომხსენებლებმა, ისე კამათში გამოსულებმა ერთმად გააანალიზეს წიგნში აღძრული ბაბაშის ექსპერიმენტის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც არის მართვის ორგანიზაციის სრულყოფა, პროდუქციის წარმოების გადიდება, მშრომელთა მატერიალური დაინტერესება და კოოპერირება, დამხმარე მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება და სხვა.

წიგნის მოყვარულნი მალე ამ აქტუალურ წიგნს სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც გაუწევენ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას.

კ. დავითაშვილი.

ფაქტის კომენტარი

კრიზისი და თეთრი სახლის ოინები

უკანასკნელ ხანს რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ისე იქცევიან, როგორც ცნობილ სიმღერაშია ნათქვამი: „ნეტავი ჩვენ, მშვენიერო მარკიზა“. უკანასკნელ პრესკონფერენციაზე კი პრეზიდენტი რ. რეიგანი კვლავ ამტკიცებდა: „ახლა აღარაფერი გვაქვია, ამერიკის ეკონომიკაში აღორძინება იწყებაო!“. ოფიციალურმა ვაშინგტონმა კარგად იცის, რომ ამ მოჩვენებითი ოპტიმიზმით ვერ გააცურებს მილიონობით ამერიკელს, შრომის ბირჟებზე ან ერთი თეფში სამადლო შეეპადის რიგში რომ ატუზულან, და ამიტომ აშკარა სიყალბეს მიმართავ: გამოაცხადა, რომ იანვარში „შემცირდა უმუშევრობა“. ადგა, და მომუშავეთა რიცხვში შეიყვანა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, და მომუშავეთა ამ „გადიდებული“ რიცხვით დაიწყო უმუშევართა პროცენტის გამოანგარიშება.

მაგრამ თეთრი სახლის ოინებისა არავის სჯერა. „წვრილმანი“, რეიგანის ადმინისტრაცია, რომ ცდილობს დაავიწყოს ამერიკელებს, — ეს არის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმაგალითო ეკონომიკური დაქვეითება, კრიზისი მეტალურგიაში, ავტომობილმშენებლობასა და მრეწველობის სხვა წამყვან დარგებში. ეს დაუვირთავ საწარმოო სიმძლავრეთა თითქმის მესამედს შეადგენს. ეს ნიშნავს ათიათასობით ფირმის გაკოტრებას, ფერმერების გაჩანაგებას. 12 მილიონ ოფიციალურად აღრიცხულ უმუშევარს, ხოლო პროფკავშირთა გაანგარიშებით, 17 მილიონზე მეტს. ასიათასობით ამერიკელი, რომლებმაც კრიზისის დროს ნისიად ნაყიდი ბინები დაჰკარგეს, მთელ ქვეყანაში დაძრწიან რამე სამუშაოს საძებნელად, ღამეს ათევენ ქუჩებში, ხიდქვეშ, კარვის „ქალაქებში“, რომლებსაც ზედგამოჭრილი სახელი მოუძებნეს — „რეიგანვილებში“. ასეთი რამ ამერიკას 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ დროიდან არ ახსოვს.

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობამ საგონებელში ჩააგდო კონგრესიც, მმართველი რესპუბლიკური პარტიის ბანაკიც. საქმიანი წრეებიც. ბიზნესმენები განაწყენებული არიან იმით, რომ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ეკონომიკის დარგში განხორციელებულმა ღონისძიებებმა, შინაური საბიუჯეტო ხარჯების შემცირებამ და ამასთანავე სამხედრო ასიგნებათა მკვეთრმა გადიდებამ უკიდურესად დაბაბა მთელი საფინანსო სისტემა, და საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა. ადმინისტრაციის მიერ საბიუჯეტო ბარგიანი კონცერნების ინტერესებისათვის მთლიანი ეროვნული პროდუქტის გადანაწილებამ გააძლიერა დისპროპორცია რეგიონულ, დარგობრივ და საერთოეროვნულ განვითარებაში. დაქვეითების ხანა დაუდგა ჩრდილოაღმოსავლეთისა და შუა დასავლეთის შტატებს. ამ რაიონების ბევრ ქალაქსა და ოლქში უმუშევრობამ ერთიორად გადაამეტა საერთოეროვნულ დონეს და თანდათან უახლოვდება „დიდი კრიზისის“ — 30-იანი წლების ავბედითს ნიშნულს — 25 პროცენტს.

არათუ საზოგადოებრივობაში, პოლიტიკურ და საქმიან წრეებშიც ძლიერდება მოთხოვნები რეიგანის ადმინისტრაციისადმი შეცვალოს პოლიტიკა, მნიშვნელოვნად შეუმციროს პენტაგონს ასიგნებანი იმ გიგანტური საბიუჯეტო დეფიციტის შეკვეცის მიზნით, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ სიძნელეთა შედგომ გამწვავებას უქადის.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საკმაოდ გავლენიანი წრეები სულ უფრო მეტად ხედებიან, თუ რაოდენ საშიშია მთავრობის ავანტიურისტული მილიტარისტული კურსი არა მარტო საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობისათვის, არამედ თვით ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისათვისაც.

ი. აბლამოვი.
(საკდესი).

ფოტოფაქტი

ლიბანი აგრესორთა უღელქვეშ

ტრაგედია

გრძელდება

1975 წლიდან ლიბანი გაუთავებელი ტრაგედიების სარბიელი ხდება. ათასობით პალესტინელი და მაჰმადიანი ლიბანელი ოჯახი დახეტიალობს მიწის პირისგან აღგვილი ბანაკების ნანგრევებში და გაპარტახებულ სოფლებში.

დატყვევებული, დეპორტირებული და უგზო-უკვლოდ გამქრალი პალესტინელებისა და ლიბანელების შესახებ საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, დაკარგულთა რიცხვი, სხვადასხვა ცნობით, 3-7 ათასს აღწევს.

საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები მოწმობს, რომ ჩხრეკენ, აპატიმრებენ, იტაცებენ და ხოცავენ პალესტინელებს, რომლებზეც ეჭვი აქვთ, რომ პალესტინელთა განთავისუფლების ორგანიზაციას ეკუთვნიან, და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მოძრაობის მონაწილე ლიბანელებს.

პალესტინელთა აინ-ჰილვას ბანაკი ქალაქ საიდის მახლობლად იყო განლაგებული. ორ კვირას უმკლავდებოდნენ მისი მამაცი დამცველები აგრესორებს, რომლებიც უახლესი ამერიკული საჭურვილით არიან შეიარაღებული, სანამ ბანაკი მიწასთან არ გაასწორეს.

* * *

სურათებზე: ეს პალესტინელი და ლიბანელი ქალები ბეირუთში მოითხოვენ, რომ გაარკვიონ მათი დაკარგული ქმრების, შვილებისა და ძმების ბედი; აინ-ჰილვის პატარა მცხოვრები, ერთი იმათგანი, ვინც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს.

აპ-საკდესის ფოტო.

● კოლონეთი

მხარს უჭერენ ინიციატივას

კოლონეთის საახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ვარშავა. პოლონეთს მიაჩნია რომ შვეიცის წინადადება ევროპაში ბრძოლის ველის ბრივული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის თაობაზე სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, ნათქვამია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გავრცელებულ განცხადებაში.

პოლონეთის მთავრობა ამ ინიციატივას დიდი ინტერესით ეკიდება და აცხადებს, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში ამ თემაზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზონის შემოთავაზებული სიგანე უნდა შეადგენდეს არა 300 კილომეტრს, არამედ გაციოლებით მეტს.

ყველა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებისათვის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება ევროპის სრული განთავისუფლება როგორც საშუალო სიმორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან, როგორც ეს გათვალისწინებულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პროლის პოლიტიკურ დეკლარაციაში, ხაზგასმით აღნიშნავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ვარშავის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ვარშავის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე იატაკქვეშა რადიოსადგურის „სოლიდარობის“ ორგანიზატორთა ჯგუფისა, რომელსაც სათავეში უდგას კონტრრევოლუციური დაჯგუფების „კოს-კორის“ აქტიური მოღვაწე ზ. რომაშევსკი.

პოლონეთში საგანგებო წესების შემოღების შემდეგ ჯგუფმა შექმნა არარეგალური რადიოსადგური, ავრცელებდა ყალბ ცნობებს ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ, პროვოკაციას უწევდა ანტისახელმწიფო გამოსვლებსა და არეულობას.

სასამართლომ დამნაშავეებს სხვადასხვა ვადის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ფსიქოლოგიური ომის“ სტრატეგია

ექსპერტის აზრი

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ დეკლარაციაში, რომელიც პრაღაში 1983 წლის 5 იანვარს მიიღეს, ნათქვამია, რომ ისინი გადაჭრით გმობენ ადამიანთა შეგნებაზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებების — პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების ტენდენციური და აშკარად ცილისმწამებლური ცნებების გასავრცელებლად, რომლებიც დამახინჯებულად წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობას, მათს პოლიტიკას და ამით შულლსა და მტრობას თესავს. განსაკუთრებით საშიშია ისეთი მოქმედება, რომელიც ნიღბავს ბირთვული ომის გაჩაღების რეალურ საფრთხეს, მსოფლიოს მილიტარისტული წრეები და უწინარეს ყოვლისა ნატოს ლიდერი — ამერიკის შეერთებული შტატები რომ უყადიან.

ახალი ამბების სააგენტოს სამხედრო მიმომხილველის კითხვებს, რომლებიც შეეხება სოციალიზმის წინააღმდეგ დასავლეთის „ფსიქოლოგიური ომის“ სტატეგიის თავისებურებას, უპასუხებს სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი დ. ვოლკოგონოვი.

კითხვა: რა არის დამახასიათებელი ამჟამად დასავლეთის „ფსიქოლოგიური ომის“ ხერხებისა და მეთოდებისათვის?

პასუხი: „ფსიქოლოგიური ომის“ აქციებში, სადაც, მისი თეორეტიკოსების და პრაქტიკოსების აზრით, ყველაფერი დასაშვებია, არაფერს თაკილობენ. ეს ხდება ანონიმური წყაროებიდან ცნობების, ანტისოციალისტური ელემენტების მიერ შეთხზული მოვლენათა ვერსიების, წამქეზებლური განცხადებების გადაცემის გზით და სხვ.

ხშირად ამისათვის იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის მოღვაწეებს. მაგალითად, ამერიკელი პრეზიდენტები რეგულარულად გამოდიან კორესპონდენტების წინაშე „დამონებულ ხალხთა კვირეულთან“ დაკავშირებით (მათში, ბუნებრივია, ამერიკაში სოციალისტურ ქვეყნებს გულისხმობენ). დეზინფორმაციით სამხედრო ძალთა თანაფარდობის თაობაზე რეგულარულად გამოდის კ. უაინბერგერი, ნატოს სხვა სამხედრო მოღვაწეები. პროვოკაციული, უხეში მონაჭორით და ცილისწამებით გამოდიან რადიოთი ყველა ჯურის რენეგატები — საზოგადოების სოციალური ნაძირალები. ისინი, ვინც მხოლოდ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, ამერიკის სინფორმაციო სააგენტოს, უმწეო ემიგრანტულ „კავშირებს“ და კაპიტალისტური სახელმწიფოების სპეცსამსახურებს წარმოადგენს.

„ფსიქოლოგიურ ომში“ რადიოპროპაგანდის ტაქტიკა იმ რეალური სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდა და მიზნებით განისაზღვრება, რომლებსაც რადიოცენტრებს მათი ნამდვილი პატრონები უსახავენ. დაძაბულობის ზრდასთან ერთად ძლიერდება რადიოპროპაგანდა, რომელიც აშკარა სულიერი პროვოკაციის, წამქეზებლობის, დაშინების, კონტრრევოლუციური მოწოდების, შეიარაღებული მოტყუების მიმართულებას იძენს.

კითხვა: ხაბოლოო ანგარიშით, რა მიზანს ისახავს „ფსიქოლოგიური ომის“ ასეთი მეთოდოლოგია?

პასუხი: მთელი მისი მეთოდოლოგია, უმთავრესად, იმას ისახავს მიზნად, რომ მოამზადონ ადამიანი არაკრიტიკულად აღიქვას ინფორმაცია, ცნობები, ფაქტები, მონაცემები ვითარების შესახებ. ანტიჟამშარიტებათა შთაგონებას საფუძვლად ის უდევს, რომ იმ ინფორმაციის შემოწმება, რომლის „ჩაწვეთებასაც“ ცდილობენ სოციალისტურ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შეგნებაში, პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვეულებრივ, „ხმები“, რომლებიც ანტისაბჭოურ ინფორმაციას გადასცემენ, იმოწმებენ „ავტორიტეტულ წყაროებს“, „დაზვერვის მონაცემებს“, არარსებულ პირებს, რითაც სურთ ცნობისადმი ნდობის ვითარება შექმნან.

„ფსიქოლოგიური ომის“ აქციების მეშვეობით ჩვენი კლასობრივი არაკეთილმოსურნენი სოციალისტური სამყაროს ადამიანთა დეზორიენტირებას ლამობენ. საკმარისია ითქვას, რომ საამისოდ შექმნილია პოლიტიკური დეზინფორმაციის უზარმაზარი კომპლექსი, რომლის მიზანია სოციალისტურ საზოგადოებრივ შეგნებაში ცრუ იდეების, უცხო შეხედულებების, ილუზიების, მითების, დამახინჯებული წარმოდგენების დათესვა.

ამჟამად მარტო წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტურ სამყაროზე „მუშაობს“ 60-ზე მეტი უდიდესი რადიოსადგური, რომელთა გადაცემების საერთო მოცულობა დღე-ღამეში 450 რადიოსაათს აღემატება (მათ შორის 250 საათი სსრ კავშირზე მოდის). მითითებანი, რომლებთაც „ფსიქოლოგიური ომის“ მთელი ეს მანქანა ხელმძღვანელობს, აშკარად ჩამოაყალიბა ძირგამომთხრელი იდეოლოგიური მოქმედების ცნობილმა ბურჟუაზიულმა სპეციალისტმა მ. ჩუკასმა: „რადიოპროპაგანდის მეშვეობით გათვითცნობიერებული ადამიანი გაუთვითცნობიერებლად უნდა ვაქციოთ, ინფორმირებული — დეზინფორმირებულად, დარწმუნებული — მერყეად. ადამიანებში კომუნისტური მიზნებისადმი მისწრაფება უნდა აღმოვფხვრათ. საქმის თავიდათავი სწორედ ეს არის“.

ბურჟუაზიული პროპაგანდისტული ორგანოების მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური ომის ოპერაციების მიზანია არა მარტო კომუნისტური რწმენის, ცხოვრების წესის, მორალის როლის შესუსტება, არამედ მათი დასავლური „ღირებულებებით“: ინდივიდუალიზმით, ეგოიზმით, ნაციონალიზმით, კერძომესაკუთრული მიდრეკილებებით, პოლიტიკური ინდიფერენტულობით, სეფსისისთა და ნიჰილიზმით შეცვლა.

კითხვა: დაახასელეთ, თუ შეიძლება, დასავლეთის ძირითადი პროპაგანდისტული ცენტრები, რომლებიც სოციალიზმის ქვეყნებს თავს ატეხენ დეზინფორმაციის მდვრიე ნაკადს.

პასუხი: ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოურ პროპაგანდას ბევრი ძირგამომთხრელი იდეოლოგიური ცენტრი ეწევა, რომელთა საქმიანობას ძირითადად წარმართავს ამერიკის შეერთებული შტატების სინფორმაციო სააგენტო. მარტო 1982 წელს სააგენტოს ბიუჯეტმა 900 მილიონ დოლარზე მეტს მიაღწია, ხოლო მთლიანად „ფსიქოლოგიური ომის“ აქციებსა და იდეოლოგიურ დივერსიებზე ამერიკის შეერთებული შტატები წელიწადში სამ მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავს.

ცნობილი „ჭეშმარიტების პროექტის“ — „ფსიქოლოგიური ომის“ თავისებური დოკტრინის მიღების შემდეგ, მასში კიდევ უფრო ფართოდ იწყეს სხვადასხვა ორგანოების ჩაბმა. საინფორმაციო სააგენტოსთან ერთად „ფსიქოლოგიური ომის“ სფეროში მუშაობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვის სამმართველო, გამოძიების ფედერალური ბიურო, საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭო. ამერიკის ძირგამომთხრელ ორგანოებთან მჭიდროდ თანამშრომლობს აგრეთვე ნატოს იდეოლოგიური საბჭო. ამ ორგანოების გამგებლობაშია მრავალრიცხოვანი სახელმწიფო და „საზოგადოებრივი“ ორგანიზაციები. ამ ცენტრებიდან ყველაზე გავლენიანია: ამერიკის შეერთებულ შტატებში გუვერის „ომის, რევოლუციის და მშვიდობის ინსტიტუტი“, კოლუმბიის უნივერსიტეტის „რუსული ცენტრი“, მაიამის უნივერსიტეტის „საერთაშორისო კვლევის ცენტრი“; გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — „აღმოსავლეთის ბიურო“ სისტემა; ინგლისში — სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი. ამ ძირგამომთხრელი ცენტრებისა და ორგანიზაციების „პროდუქციის“ საგრძნობ ნაწილს რადიოპროპაგანდაში იყენებენ.

საბჭოთა კავშირისათვის არის გამიზნული, კერძოდ, ათობით ბურჟუაზიული რადიოსადგურების გადაცემები სსრ კავშირის მრავალ ენაზე. ესენია „ამერიკის ხმა“, ბი-ბი-სი, რომის, კანადის, ისრაელის და სხვათა რადიო. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ რადიოომში აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე ამერიკის სამხედრო მაწანის პროპაგანდისტული საშუალებები. ამერიკელი სოციოლოგი თ. კოფინი ერთ-ერთ თავის წიგნში წერს, რომ „პენტაგონს პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და მორალური მომზადების, აგრეთვე „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოების გეგმებში შეტანილი აქვს უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა. მარტო საზღვარგარეთ ამერიკის ჯარებს აქვთ 250 მსხვილი რადიომაუწყებლობის სადგური და ათობით ტელესტუდია. ამ ცენტრების ყველა გადაცემა გაჟღენთილია ანტიკომუნისტობითა და ამერიკული მორალით.

ადამიანთა შეგნებაზე ზემოქმედების მთელი ეს ვეებერთელა მექანიზმი, ეთერში დივერსიების დამბნევი ინსტრუმენტი არც ერთი წუთით არ დგას უმოქმედოდ. ამ სადგურების ყველა გადაცემა აშკარად დივერსიულია. ბოლო ხანს პროპაგანდისტული ცენტრების გადაცემებში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა მითებს დასავლეთისადმი „საბჭოთა სამხედრო საფრთხის ზრდის“, „კომუნიზმის აგრესიულობის“, „თავისუფალი სამყაროს იძულებითი ხელახალი შეიარაღების“ შესახებ და ა. შ. ყოველივე ეს მხლოდ აძლიერებს დაძაბულობას მსოფლიოში.

აი, რატომ არის ესოდენ აქტუალური პოლიტიკურ დეკლარაციაში გამოხატული სოციალისტური ქვეყნების მოწოდება — გავაქტიუროთ ბრძოლა მშვიდობისათვის და არ დავუშვათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება კონფრონტაციისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის გასამართლებლად.

ფაქტის კომენტარი

ლიბანელი ქალების ბრძოლა

ბეირუთი. აქ 70 წლისა უეცრად გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ოვალსაჩინო მოღვაწე, ლიბანის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ნიკოლა შაუი.

ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იუწყება ნ. შაუის გარდაცვალებას, ხაზს უსვამს, რომ მისი სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ლიბანის რესპუბლიკის ისტორიაში, ქვეყნის ერთიანობისათვის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, იმპერიალიზმის შეთქმულებათა წინააღმდეგ ლიბანელი ხალხის ბრძოლის მატიანეში.

● 19 თებერვალი, 1983 წ.

კ. შეისონი მოსკოვში

18 თებერვალს მოლაპარაკებას განაგრძობდნენ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრი კ. შეისონი.

აზრთა გაზიარება უმთავრესად მიეძღვნა ევროპაში შექმნილი ვითარების საკითხებს. ა. ა. გრომიკომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას, როგორც კონტინენტის უშიშროების უზრუნველყოფის გადამწყვეტ რგოლს ამ პირობებში, და არგუმენტირებულად დაასაბუთა საბჭოთა კავშირის წინადადებები ამის თაობაზე. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობდა აღნიშნული პრობლემის სამართლიანად და ვისი-მე უშიშროების უვნებლად გადაჭრას. ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებაზე მიზნად ისახავს არა საბჭოთა კავშირთან მორიგების მიღწევას, არამედ დასავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგებას, რისი გარდაუვალი შედეგიც გახდება გამალებული შეიარაღების შემდგომი დაჩქარება და ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის საფრთხის გაძლიერება.

ა. ა. გრომიკომ და კ. შეისონმა საჭიროდ ცნეს გაგრძელდეს ჰელს

შემოქმედის ხუთწლედი



... **მოსავლის** ყოველწლიურ დღესასწაულზე ჩემმა წვლილმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა გასულ წელს. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მონიჭებაც, რა თქმა უნდა, საამაყოა ჩემთვის. და არა მხოლოდ მადლობისათვის, არამედ „ლირიკის“ ასეთი მხარდაჭერისათვის — ისევ „კომუნისტს“ მივმართავ. მინდა ეს წელიც იმ ლექსებით დავიწყო, სადაც ჩვენი ქვეყნის დღეებია დახატული წრფელი გულით.

ვინ არ იცის, რომ წუთი ერთნაირი სილაღით არ გვინათებს ყოველთვის, მაგრამ დილა ღრუბლიანიც, ისევე სასიცოცხლო და საამედო არის, ისევე განუყრელი, როგორც მზიანი დარი კაცის ცხოვრებაში. როგორც გუნება, სიმღერაც სიმღერას ცვლის. და წინსვლის რიტმიც, ალბათ, ასეთი მრავალფეროვნებით აჩაღებს ჩვენს დიდ სახალხო სიტყვას და საქმეს.

მზეო, შემოდი შინ

მზეო, შემოდი შინ,
თუ ჩემმა სიტყვამ აგანთო.
რასაც ვწერ, რასაც ვშლი —
მოვკვდები, რომ არ გაგანდო!
მეც ხომ ფიც-ვერცხლი მწამს,
მეც ვიტყვი ჩემთვის, ჩემმა
მზემ,
და პაპისეულ ჯამს
მზის სადიდებლად შევავსებ!

კვლავაც აღვმართავ ხელს
ღრუბლების მაღლა, ცხადია,
დავხატავ მე ჩემს დღეს
ისე, ვით დამიხატია.
დამხვდება თეთრი ქვა,
ფიქალის თეთრი ნატეხი —
რომ ჭერად იქცეს ხვალ,
დღეს თავზე რასაც ვადეკი!

ვინც ჩუმად ბერქვე ზის,
ის სიჩუმითაც იღლება,
მე მიყვარს ყველგან მზის
ღიმილ-ღიმილით მიგება!
სახედაღვრეულ კაცს
არ ენდო ღობე-ყორემდის.
სიმართლეს, თუნდაც მკაცრს,
ჩემებრ შინ დახვდი
ყოველთვის...

მზეო, შემოდი შინ,
მიხედ-მოხედე ჩემს ფიქრებს—
ვინ... მეც არ ვიცი, ვინ,
ვგრძნობ, საჭუმანოდ
შემიკრებს!
მე კი სიცოცხლე მსურს,
ქარით და წვიმით ნაწვალებს,
და ხარბად ვითქვამ სულს —
მზით როცა ვიშრობ წამწამებს.

გვიყვარდეს ბედის ცდა,
ახმიანება ხალხისს,
დღე ვიხაც ყელში სწვდა,
რაა სიმღერა არ იცის!
მზეო, შემოდი შინ,
მზეო, ჯერ ისევ ცადა ხარ,
ვწერ ისევ, ვწერ და ვშლი,
ნეტავ სად ხარ და სად —
ალარ!

სხვა დროა, დიახ, სხვა საუკუნეა

„სხვა დროა, დიახ, სხვა საუკუნეა“
და აი, თვალწინ სურათიც ზღაპრული:
ქედი ცხრაფოდელ დევს გაუდგენია —
ამოაქვთ მუხა ზღაპრებში ჩაფლული.

„სხვა დროა, დიახ, სხვა საუკუნეა“,
მეც ჩემს ჯალადიდს ვაშრობ და ვაშენებ!
ვიცი, აქ დდე-ღამის რა გუგუნია,
მაგრამ ზედ ცეცხლს ვაყრი... ვერ გავაშველებ.

„სხვა დრო, დიახ, სხვა საუკუნეა“
და განა მთისა და მზისა და ცის იქით —
ამ წუთისოფლის შუაგულია
ღრუბლებში ახულ ქვის კოშკით, ქვის ციხით!

რაც კი ხაკრე და საგურეა,
სარკინეთს გაღმა და გამოღმა აღანთებს.
„სხვა დროა, დიახ, სხვა საუკუნეა“,
ესმის ველს გაშლილს, და მაღალ-მაღალ მთებს!

ძველშავისა და რძანითლის ხელწერა

თითქოს გულს მიწყარებდა
ის, რაც ქვას აწერია;
ზედ ვენახის კარებთან
დევს ათასი წელია.
იქნებ ტაძრის ქვაც იყვეს,
მთას მოსტაცეს ღვარებმა,
ქვა თუ ასცდა საძირკველს —
ალარც მე მეყვარება!
მაშ, რა უცხო რამ არის,
რომ დავტკოვოთ აქ ამ ქვად! —
თუ ცრემლს ითხოვს, სამარის
ლოდი მაინც დავარქვათ.
ფიქრმა ამიყოლია
და მეც, როცა ვუცქერი,
ხელთნაწერი მგონია
ქვის ფიქალი ფურცელი.
გაუმარჯოს, ლერწებით
ლერწებგადახლართულებს,
დღესაც ვეალერსებით
ჩვენს ძველ ასომთავრულებს,
სწორედ იმას, მე რასაც
მოვუძებნე სახელი —
ვაზის ანბანთწერათაც
თვლიან მეკენახენი...
ან რას უნდა უწერდეს
წინანდელი აწინდელს,
რომ კვლავ მაჯა უცემდეს
ძველშავსა და რქაწითელს!
თქვას, რაც გულში გავივლე,
რაც თვალნათლივ მინახავს.
მე თუ არა, სხვა ვინმე
შუაკაცი ვინა ჰყავს!
თქვას და დამებედება,
მეკვლე მეც ვარ ამა წლის,
იყოს დაიმედება
ჩვენი მზის და ალაზნის.
ვაზო, შენი ანბანიც
იყოს სასიქადულო,
რომ სიახლით მთა-ბარი
ისევ გამიქართულო.

კოდალა

ვდგავარ ტყისპირას, კოდალავ, ვდგავარ,
და მესმის შენი ფრთხილი კაკუნი.
ვდგავარ, და განა მრავალ და მრავალ
ჭირთაგან უკვე მხრებმოკაკული.

რომელი შენი ბებერი მე ვარ,
რომელი შენი ხმელი წიფელი?!
ეგ ჩემს სიცოცხლეს არ დაერქმევა, —
ნურც იფიქრებენ ტყის ხელმწიფენი!

გულს რომ დაპარი კოდალავ, ახე,
იქნებ გეგონა, თქმას დამასწრებდი.
— კიდევ ჩვიდმეტი წელი და გზაზე
ჩავიარეთ მე და ჩემი ასწლედი...

იმედი მაინც რჩება ამედად —
ფოთოლთშლა არის თუ ფოთოლი ცვენა.
ვიტყვით: ის წვეთიც მზით ციმციმებდა
უცემ წამწამი რომ დაგისველა.

მეგონა

არა, არც ერთი ფოთოლი
ია და ვარდი არც ერთი
ხელში არ შემომჭკნობია
და ჩემს სიკეთეს ვაწერდი.

ყვავილის ყლორტი ლამაზი,
თრთოლვით რომ შემომეკონა—
ჩემი უსიტყვო ალერსით
აღტაცებული მეგონა.

ჯერ კიდევ ზღვისწინ ვიდექი,
ჯერ კიდევ არ გამეგო-რა,
შენს ზიშველ მკლავებს
ეკონცდი,
მე ვიცოცხლებდი მეგონა:

წუთიც და ამ ცივ სიჩუმის
წუთსაც არ ალამაზებდი —
ფერდაკარგული ღიმილით
ხმას აღარავის არ ცემდი.

მეგონა... მაგრამ რაღა დროს,
რაღა ძალ-ღონე მეელონა!
„მეგონა“ ერქვა ყველაფერს,
რაც ერთხელ ჩემი მეგონა.

ალაგვი

თეთრი ალაგვი მე დავარქვი ხვლას ფაფარგაშლილს.
სიცოცხლეც, დიახ, შავად მღელვარ ფიქრს მე დავარქვი,
ცხენს კი ვერც ვაუას ავულაგმავ, ვერც ბარათაშვილს —
მორბის ალაგვი, მთა-გორებო, მორბის ალაგვი!

მორბის ალაგვი ისევ ისე,
შეხმიანება უკეთესი ღმერთს არ სმენია.
— სიცოცხლევ ჩემო, — ერთი წამით წამს მეც შევძახებ, —
ალაგვი მწყურვალ გულისხვინით შეხახმელია!

— ბეი, ალაგვო, გაგვიმართლე ფიქრი მღელვარი,
თქვი სიტყვა შენი, ანაპერწკლდეს შენი ჭენება...
დაე, ხელწერად კლდეებს შერჩეთ კლოთა რღვევანი.
სიცოცხლე ჩვენი გამოსტაცეს ბნელს ჩანჩქერებმა!

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲨᲐᲚᲘᲐᲞᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 110 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ

უკვდავეგზაა მისი სახელი

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ეპოქა წარმოშობს გიგანტურ შემოქმედთ, რომელთა მოღვაწეობა სცილდება ჩვეულებრივ განზომილებას და სრულიად სხვა ზომვლენად წარმოჩინდება ხოლმე. ასეთი პიროვნებები ჩვეულებრივ იბადებიან, ჩვეულებრივ იზრდებიან, მაგრამ არაჩვეულებრივად რთულად იკვლევენ გზას თვითგამოხატვის უმაღლესი სფეროსაკენ. ასეთ „ზომვლენად“ აღიქმება ვოკალურ ხელოვნებაში თეოდორე შალიაპინი.

შალიაპინმა ახალი მძლავრი ნაკადი შეიტანა არა მარტო რუსულ ვოკალურ ხელოვნებაში, არამედ ახლებურად წარმოაჩინა რუს და დასავლეთის კომპოზიტორთა მთელი რიგი ქმნილებები და ბანის ერთგვაროვან სტატიკური პარტიები განსაცვიფრებელი მოქნილობით, დრამატული არტისტიზმით წარმოადგინა. მომღერალმა თავის ულამაზეს ხავერდოვან ტემბრს საოცარი ელასტიკურობა შესძინა და ბანის პარტიებში მიაღწია იმას, რაც წინათ მხოლოდ მაღალი ხმების ხვედრი იყო. ეს იყო შალიაპინის მსოფლიო ტრიუმფის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც!

შალიაპინი პაგანინის მსგავსად ლეგენდად შეიძლება ქცეულიყო, მაგრამ ჩანაწერებმა შემოგვინახა და რეალურად აქცია ჩვენთვის ამ მომღერლის ყველა განუმეორებელი ღირსება.

თეოდორე შალიაპინის ვერც ერთი ბიოგრაფი ვერ შეძლებს გვერდი აუაროს შალიაპინისა და თბილისის ურთიერთობას, რადგან სწორედ თბილისში მოხდა შალიაპინის დაკავშირება პროფესიულ ვოკალურ სკოლასთან, პროფესიულ მუსიკალურ კულტურასთან.

1892 წელს მრავალჭირნანახი, ბედის ძიებით დაქანცული 19 წლის შალიაპინი თბილისში აღმოჩნდა. თბილისი ისეთივე შემთხვევითი „პუნქტი“ შეიძლებოდა ყოფილიყო მისთვის, როგორც ის მრავალი დიდი თუ პატარა ქალაქი, რომლებშიც იგი ამ ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად ყოფილა. მაგრამ საგულისხმო შემთხვევამ საქმე სხვაგვარად წარმართა .— მეგობრების რჩევით შალიაპინი დამიტრი უსატოვთან მივიდა მოსასმენად, რომელსაც იმ-ხანად საკმაოდ დიდი ვოკალის კლასი ჰყავდა თბილისში. უსატოვი ჩინებული ვოკალისტი გახლდათ და შეუძლებელი იყო გამორჩენოდა შალიაპინის ხმის ღირსებანი. დაიწყო სერიოზული მეცადინეობა მასთან უსასყიდლოდ. შალიაპინი უსატოვების ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა და მალე მისი უსაყვარლესი მოსწავლის სახელიც დაიმსახურა. ამას მოჰყვა პირველი მონაწილეობა მოსწავლეთა კონცერტებში — „სამუსიკო წრეში“ და პირველი რეცენზია, რომელშიც მომღერალ შალიაპინის გვარი გამოჩნდა.

„საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ქალბატონმა რომსკაიამ და ბატონებმა კოვალენსკიმ და შალიაპინმა. ყველა ისინი ახალგაზრდა, მაგრამ იმედის მომცემი მსახიობები არიან, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი ძლიერი, სასიამოვნო ხმით ბატონი შალიაპინი“, — წერდა 16 თებერვლის გაზეთი „კავკაზი“. 30 მარტის გაზეთში კი ვკითხულობთ: „თავისი როლი (დონ ბაზილიო „სევილიელი დალაქიდან“ —მ. კ.) მან შეასრულა იმ ბალადგანური შარჟის გარეშე, რომლითაც ზოგიერთი შემსრულებელი ქანდარის აპლოდისმენტებს იხვეჭს ხოლმე“.

არტისტული გზა დაიწყო. ეს იყო შალიაპინისათვის ურთულესი და ამავე დროს განუზომელი საიდუმლოებით მოცული გზა.

„რამდენჯერ ვცადე ამ საოცრებათა სამეფოში შეძრომა, მაგრამ ვიღაც ბრაზიანი ადამიანები ყოველთვის კიბწინკვრით მაგდებდნენ. ბოლოს მაინც მივაღწიე საწადელს, მალულად გავაღე რომელიღაც პატარა კარი და ბნელსა და ვიწრო კიბეზე ავედი. კიბეზე ათასგვარი ხარახარა — დამტვრეული ჩარჩოები, ტილოს ნაგლეჯები ეყარა. აი ისიც — სასწაულისაკენ მამავალი გზა“ იგონებს თ. შალიაპინი („ჩემი ცხოვრების ფურცლები“).

ეს გზა, მართლაც, სასწაულისაკენ მიმავალი აღმოჩნდა. მალე პრესის თავშეკავებული შეფასებანი მსოფლიო აღფრთოვანებით შეიცვალა. ერთიმეორეს მოჰყვა წარმატებანი მოსკოვსა და პეტერბურგში, მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრების სცენებზე.

მსოფლიო ვოკალურ ხელოვნებაში გამოჩნდა უდიდესი ფიგურა თეოდორე შალიაპინი! „მისი შემოქმედების საიდუმლო ხელშეუხებელი მხატვრული ჭეშმარიტების ყველაზე სრული წვდომაა, იმ ჭეშმარიტებისა, რომლის წინაშეც ყუჩდება გონების ხმა და ადგილს უთმობს ჩვენი სულის ლირიკას. გაბრწყინებულს და განწმენდილ, აღფრთოვანებიანს“, — წერდა ედუარდ სტრასი.

შალიაპინის შემოქმედება არავითარ ყალიბს არ ემორჩილება, არავითარ ჩარჩოებს არ ცნობს. მისი ერთადერთი მბრძანებელია გმირი, რომლის გათავისებისა და მისი შინაგანი თვისებების მხატვრული განზოგადების მიღწევა ამ შემოქმედებითი პროცესის ერთადერთი მიზანია. ეს ბადებს გასაოცარი კონტრასტულობით აღბეჭდილ გმირთა ვრცელ გალერეას, გაერთიანებულნი რომ არიან ერთი თვისებით, რომელსაც მხატვრული სიმართლე ჰქვია.

შინაგანი სულიერი ძვრების გასაოცარი დინამიკა აისახა შალიაპინისეულ ბორის გოდუნოვში. სწორედ ამ ძვრების შედეგად, და არა გარეგნული ეფექტების ხარჯზე, გამოიკვეთა მუსორგსკის გმირის ტრაგიკული სახე. ა. ბოიტოს არცთუ ისე მაღალმხატვრულ ოპერა „მეფისტოფელში“ შალიაპინმა შესძლო მეფისტოფელის ბრწინვალე განზოგადებული პორტრეტის წარმოჩენა, რომლის გაგრძელებადაც გაიაზრა მეფისტოფელება გუნოს „ფაუსტში“, რა საოცარი პიროვნული ძალა ჩანდა შალიაპინის ივანე სუსანინში, რამდენი ლირიზმი კრთოდა ალეკოს პარტიაში. (რახმანინოვის ამავე სახელწოდების ოპერიდან); დარგომიჟსკის მეწისქვილის რა ფსიქოლოგიური პორტრეტი იძერწება, როდესაც შალიაპინი ასრულებს მას, როგორი სრულყოფილება ახლდა მის გარდასახვას ფინალში ტრაგიკულ გმირად.

ამ მრავალფეროვნებით არის აღბეჭდილი შალიაპინის მიერ შესრულებული სიმღერები და რომანსები, მაგრამ განუმეორებელ აკორდად ეღერს „ეი, უხნავ“, თითქოს და მისი ამოსუნთქვაა, მისი სულის ძახილია ამ სიმღერის ყოველი ფრაზა.

შალიაპინი ვოკალური ხელოვნების დიდი და მძლავრი ფიგურაა, მთელი ეპოქაა, რუსული ვოკალური კულტურის მარადიული სიდიადეა.

მ. კორძაია.

ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ

საქართველოს სადღეგრძელო საშუალო ტემპერამენტით დაილია, ითქვა, რომ იგი ცაფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ ოვანია, რომ უმაღლეს განათლებულთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ!

თუმცა ამ მშვენიერ მთის სოფელს, სადაც ეს ამბავი ხდება, არ ჰყავდა ექიმი, რუსულს ასწავლიდა ბიოლოგიის მასწავლებელი და ასტრონომიას — სიმღერისა!. ისიც ითქვა, მთელი მსოფლიო რომ შემოიარო, მიწაში ჩაძვრე და ცაში აფრინდე, არსად არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ჩვენი მსგავსი რამ... ამ დედამიწაზე არავინ არის, თურმე, ჩვენზე უკეთესი!

სადღეგრძელო რომ ჩათავდა და ცოტა სული მოვითქვით, თამადა ნერვებაშლილი წამოვარდა და ერთ უზარმაზარ ჭიქას სტაცა ხელი.

— პლატონს ვენაცვალე, სადგურის რესტორანში ხომ არავართ, რატომ ვჩქარობთ?!— ჰკითხა თამადას მოადგილემ.

— ახლა უნდა ჩვენი კუთხის სადღეგრძელო დავლიო!

უზარმაზარმა ჭიქამ, ლავრესი ნამორაძე გამახსენა, მერვე კლასში ჩარჩა ორჯერ, მერე ჩემს უმცროს ძმასთან დაამთავრა, ახლა დოცენტია!.. ნამორაძის თავს ჰგავდა ჭიქა...

— ხომ დავლიეთ ბატონო, სამშობლოს სადღეგრძელო, — ძლივს ვთქვი მე.

— ეს ჩვენი კუთხის სადღეგრძელოა, ყველაფერი კარგია, მაგრამ მთავარია ჩვენი კუთხე, აი, ეს მიწა-წყალი!..

— ჩვენ რა გვაქვს გასაყოფი?

— ჩვენ, ჩვენ ვართ, თქვენთქვენ... ჩვენ ჩვენი წესი გვაქვს და ისე უნდა ვიცხოვროთ... გუშინ კინაღამ გამაგიჟეს, ჩვენ რაიონში ქარხანა უნდა ავაშენოთ!..

— რად გვინდა, კაცო, ჩვენ ქარხანა!.. — ნამოიძახა თამადის მოადგილემ.

კოლმეურნეობის მოანგარიშე ადრე დათვრა, და რომ გვეგონა არაფერი ესმისო, სწორედ ის წამოდგა, ხელი გაიშვირა და წამოიძახა:

— წაიღონ!.. აქედან, წაიღონ.. არ დავინახო მე აქ არავითარი ქარხანა!

— კი მაგრამ ამხანაგებო!.. მუშახელის დასაქმების პრობლემა? — ვთქვი მე.

— არავითარი პრობლემა! მე ბიძა მყავდა ჭკვიანი... მთელი თავისი სიცოცხლე ამტკიცებდა, არ არის საჭირო ელექტროსადგური, შეიძლება ვინმეს დენმა დაარტყასო და რა გგონიათ, რა მოხდა?..

ჩემმა ბიძაშვილმა მაცაცომ მართლა ჩაყო თითი შტეფსელში!..

— აუ! მართლა, კაცო? — იკითხა ჩემ გვერდით კაცმა და პასუხს არ დაელოდა, ჩადვა ლოყა საცივში და დაიძინა.

— უგზობით, ქვიდან ქვაზე რომ დავხტიავართ, ის არის, აბა, კარგი? — წამეშველა ახალგაზრდა მასწავლებელი.

— რა შუაშია, ბიჭო აქ, გზა?!

— გზა იმ შუაშია, რომ ის დიდი ქარხანა დიდ სიკეთეს მოიტანს, დიდ გზას გაიყვანს, დიდ გზას დიდი ავტობუსი მოჰყვება, ავტობუსს — ათასი სიკეთე, გასართობი, სანახაობა, სინათლე, გაზი, ტელევიზორი, მომსვლელი, წამსვლელი. მთელი ახალგაზრდობა ქალაქში რომ გარბის და აქეთ არ იხედება, თქვენი გულისამაჩუყებელი სადღეგრძელოებით გინდათ აქეთ მოახედოთ? რამდენი ხანია სოფელში ქორწილი არ ყოფილა!..

— ამხანაგო, გესმის შენ, რას ლაპარაკობ? თქვენ გინდათ, რომ ამ ლამაზ წალკოტში ქარხნები და რკინიგზები გაიყვანოთ, ხომ? არ გამოვა ეს, ჩვენ ჩვენი მსოფლიო ღვინოც გვეყოფა,

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ-ᲭᲐᲛᲘᲔᲠᲘ!

ᲕᲘᲜᲝ

სხვა არაფერი არ არის საჭირო!

— ეს არის მიკრო ანუ ცრუ პატრიოტიზმი! შენი ხუთი ჭიქა ღვინით გინდა გააკვირვო ქვეყანა? იციათ თქვენ, რა არის საბადო? — მოუვიდა, მარა რა მოუვიდა გული ჩემ დამცველ ახალგაზრდა მასწავლებელს.

— საბადო არ გამგონთ!— ძილში ამოილაპარაკა მოანგარიშემ, — გაუმარჯოს ჩვენს მდინარეს, მხოლოდ მეზობელ რაიონიდან — ჩვენ რაიონამდე!. თქვა სეფესიტყვა და ძილი განაგრძო.

სიჩუმე ჩამოვარდა...

— თქვენ მართლა წინაალმდეგი ხართ, რომ ჩვენი კუთხე ვადღეგრძელოთ? — იკითხა თამადამ და მე გადმომხედა.

— კუთხურობამ ბევრჯერ დალუპა საქართველო, კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დალმა ფარცხეს, ტყუილად კი არა თქვა გურამიშვილმა!

— დათიკომ? — იკითხა თამადის მოადგილემ.

— თუ მართლა მასეა, მაშინ ეს ხაშლამა მარტო კახეთში უნდა იყოს, ბაყე — იმერეთში და ადესა — გურიაში! არ დავზოგე ერუდიცია.

— აა, მაგი ღმერთმა დაგვიფაროს! — თქვა ერთმა რკინიგზელმა, რომელიც მთელი საღამო მხოლოდ ჭამდა. — ჩვენ ყველამ ყველაფერი ერთმანეთს უნდა ვუშიაროთ!

— მანგანუმი, ბარიტი, მარმარილო, გუმბრინი? — ჩამოვთვალე და ჩამოვთვალე ჩვენი ქვეყნის სიკეთე.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

ეხაგაკმენდილმა მასპინძელმა, მოსწავლესავით აიწია თითი, ადგა და იკითხა.

— ერთი მიბრძანეთ, ჩემო ბატონო, ატომური სადგური რომ აქ ავაშენოთ, ვენახი გაფუჭდება?

ამ შეკითხვამ ხალხი გაამხიარულა, ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, რომ მასწავლებელმა მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა:

— ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად... ეს უმოკლესი და ყოვლად უსაფრთხო გზაა!...

თამადამ სალოკი თითი უცებ რევოლვერის ლულასავით შუბლთან მიიტანა, მერე მაღლა შემართა და ყველას გასაგონად თქვა:

— სწორს ამბობს ეს კაცი! ბარიტს და გუმბრინს კი არა, სულს არ დაუჭერს ქართველი კაცი სხვას, და ეს რა წამომცდა... არა ვარ სწორი, დასაგმობია ჩემი საქციელი.

ატყდა, მაგრამ, რა ატყდა, შეიქნა, მაგრამ, რა შეიქნა!

ვინც ჭამდა, ვინც სვამდა, ვინაც ეძინა, ყველამ ერთხმად „ვაშა“ შეაყვირა!

მოანგარიშემ, კაცო, მოანგარიშემ, სუფრაზე სულ რომ არ იყო სათვალაში, გაიღვიძა და სიტყვა წარმოთქვა:

—ეს მართლა კუთხურობაა. ეს ჩამორჩენილობაა, ამხანაგებო; მოდი იმ დღეს გაუმარჯოს, რომ ჩვენს პატარა რაიონში ბულდოზერი აგუგუნდება... ხარაჩოები აღიმართება და ასეთი წარწერები — „მიდის მსოფლიო მნიშვნელობის მშენებლობა“ ჩვენ შუკეპსა და ორღობეებს დაამშვენებს!

— ამხანაგებო! — წამოდგა ბულალტერი და ქაღალდის ხელსახოცზე სახელდახელოდ გამანგარიშებული მონაცემები გაგვაცნო. — თქვენ რომ იცოდეთ, რა ენერგია, რა სიმდიდრეა ჩვენს რაიონში?!. აი, ჩვენი გზა და სიკეთე! — თქვა მან და ქაღალდის ხელსახოცი მაღლა ასწია.

— გაუმარჯოს ერთიან ინდუსტრიულ საქართველოს! — დაიძახა იმ კაცმა, სულ რომ ჭამდა.

რკინიგზელი ხომ მთლად შეუდარებელი აღმორჩდა, ისე ლამაზად დაგვიხატა მთებში რკინიგზის გაყვანის პერსპექტივა, რომ თამადამ სუფრის კიდეც კი გადასწია და „რკინიგზა გაიყვანა“ მაგიდაზე.

სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

გავერთიანდით, დავირაზმეთ, მოვძებნეთ უამრავი რესურსი და საშუალება. — ავაშენეთ ქარხნები, რკინიგზები, საბადოები, საბაგიროები...

ყველა რაიონში მოვძებნეთ რაღაც სიკეთე და მრავალფამეირიგ შემოვძახეთ. ჩემს სიცოცხლეში ეს იყო ყველაზე ბედნიერი მრავალფამეირი.

რეზო დვალიშვილი.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ-83

პიროვნული ნოგათი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.) შრომა და გარჯა დაუფასდათ ზვარის საშუალო სკოლის პიონერებს. სასურსათო პროგრამის განხორციელებაში შეტანილი დამსახურებული წვლილისათვის სკოლის პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოდა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით. მათვე მიეკუთვნა რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის დიპლომიც.

დიდია წითელყაყლახვეევიანთა ნობათი. გოგო-ბიჭებმა შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 4 ტონა გარეული ხილი, 1,5 ტონა ასკილი, 2 ტონა ჯართი, 800 კილოგრამი მაკულატურა, კოპერირების წესით გამოზარდეს ღორები და 4 ტონა ხორცი მიჰყიდეს ქვეყანას. პატარებმა დახმარება გაუწიეს ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობას — 10 ჰექტარზე აიღეს სიმინდის მოსავალი და პირუტყვისათვის დაამზადეს 2 ტონა თივა.

მუზეუმი ფართოვდება

თბილისში, კეცხოველის ქუჩაზე დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომავალი კომპლექსის ახალი კორპუსის მშენებლობა. პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაფართოებულ ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება ძველი კულტურის, ფლორის, ფაუნისა და ყოფაცხოვრების უნიკალური ნიმუშების უმდიდრესი კოლექცია, რომელიც მუზეუმის საცავებში ინახება.

მუზეუმის რეკონსტრუქციის გეგმა ითვალისწინებს ძველი კორპუსების გარდაქმნას და ორი ახალი კორპუსის აგებას. აქ განლაგდება საექსპოზიციო დარბაზები, ფონდის სათავსები, ლაბორატორიები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

მუზეუმის კომპლექსის მშენებლობა 1984 წლისთვის უნდა დამთავრდეს. (საინფორმი).

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ, ᲤᲐᲥᲢᲘ

უკმაყოფილო მცენარეები

სსრ კავშირი. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მცენარეებს შეუძლიათ „დაღლა“, აქვთ „სიამოვნებისა“ და „გალიზიანების“ უნარი. როგორ გამომძღვანეზდენ ამ „გრძნობებს“, მეცნიერებს გადაადგილების საშუალება ოომ ჰქონდეთ? ასეთი კითხვა დასვეს საბჭოთა მეცნიერებმა და საინტერესო ექსპერიმენტი მოაწყვეს.

მათ ბეგონიის ბუჩქს შეუქმნეს თავისუფალი გადაადგილების საშუალება, რისთვისაც ბუჩქი სპეციალურად მოწყობილ ურიკაზე მოათავსეს, ტოტებზე კი მინიატიურული გადამცემები დაამაგრეს, რომლებიც ბუჩქის ტოტის უმცირეს რხევებს აძლიერებდნენ და ურიკის ბორბლებს გადასცემდნენ. და აი, მეცნიერემ „მოძრაობა“ დაიწყო! სხვების ხასიათის მიხედვით ბეგონია ან უახლოვდებოდა ან შორდებოდა შუქის წყაროს. მაგალითად, ნატრიუმის ნათურას ის მიუახლოვდა, მოციმციმე შუქს კი, პირიქით, განერიდა.

დასაკეცი ავტომობილი

საფრანგეთი. რობერტ ბენოოტმა შექმნა თვითნაკეთი ავტომობილი, რომელსაც „ყველაზე პრაქტიკულს“ უწოდებს. სადგომზე დაყენებისას კონსტრუქცია შეიძლება სწრაფად ისე დაიკეცოს, რომ ნახევარ კვადრატულ მეტრ ფართობზე მოთავსდეს. ექსპლოატაციის პირობებში კი ავტომობილი 60 კილომეტრ საათ სიჩქარეს ავითარებს და 180X70 სანტიმეტრი ზომისაა.

ხმელეთის უდიდესი ბინადარნი

აფრიკა. ნამიბიის უდაბნოში, ჩონჩხთა ნაპირიდან 26 კილომეტრზე აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე აღმოაჩინეს და სურათი გადაუღეს მეცნიერებისათვის დღემდე უცნობ სახეობათა სპილოების წარმომადგენლებს. ცხოველები სიმაღლეში 5 მეტრს აღწევენ, ეს 1,5 მეტრით აღემატება აქამდე ცნობილ აფრიკული და აზიური სახეობის ინდივიდთა სიმაღლეს.

გოლიათებს რამდენიმე დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ და დაადგინეს, რომ ისინი ღამის ცხოვრებას ეწევიან.

როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უკვე დიდი ხანია იციან არაჩვეულებრივი სპილოების არსებობა, მაგრამ მეცნიერებს ამორიგენთა მონაყოლი მხოლოდ ზღაპრებად და მითებად მიაჩნდათ.

აღმოჩენამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დედამიწაზე შესაძლებელია არსებობდნენ მეცნიერებისთვის ჯერაც უცნობ სახეობათა გიგანტური ცხოველები.

ადამიანის... „სათადარიგო“ ნაწილები!

აშშ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ საუკუნის ბოლოს შესაძლებელი გახდება ადამიანის ყველა ორგანოს პროთეზით შეცვლა, გარდა თავის ტვინისა და ნერვული სისტემისა.

უკვე განხორციელდა ხელოვნური გულის გადანერგვა, შექმნილია პლასტმასის გულის სარქველები, ლითონის ბარძაყისა და იდაყვის სახსრები, ხელოვნური კუჭქვეშა ჯირკვალი მიკროპროცესორით, ხელოვნური ხელი ელექტროძრავით, სისხლძარღვები და სხვა. დოქტორ პეტროსკის მიერ (ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტი) შექმნილი პატარა ელექტრონული აპარატის გამოყენებით, ქვედა კიდურების დამბლით დაავადებულებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს!

როგორც ჩანს, სწორედ პროთეზირების ამგვარმა მიღწევებმა მისცა პროფესორ კოლფს (იუტის შტატის უნივერსიტეტი) საშუალება განეცხადებინა, რომ შესაძლებელი ხელოვნური გულის მქონე სპორტსმენმა 1996 წელს მარათონულ რბენაშიც კი გაიმარჯვოს და დისკვალიფიცირებულ იქნეს გადანერგვით მიღებული უპირატესობის გამო!..

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲡᲐᲬᲧᲘᲡ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში

გუშინ, ოცდამეთორმეტედფინალური მატჩებით დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. ასპარეზობის პირველ ეტაპზე ლანჩხუთის „გურია“ შეხვდა ვორონეჟის „ფაკელს“.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, პენალტების სერიაში გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა 8:6.

უმაღლესი ლიგის გუნდები თასისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან მეთექვსმეტედფინალიდან. ეს მატჩები გაიმართება 24 თებერვალს; მერვედფინალური შეხვედრები— 3 მარტს, მეოთხედფინალური — 11 მარტს, ნახევარფინალური — 19 მარტს, ფინალური მატჩი — 9 მაისს. თასის ახლანდელი მფლობელები — კიევის დინამოელები, რომლებიც ევროპის ჩემპიონების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოდიან, საკავშირო თასისათვის ბრძოლაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

წყალტუბო. ქალაქ პენზაში მიმდინარეობს ზამთრის ჩემპიონატი. გამოვლინდნენ პირველი პრიზიორები. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ი. კალინინა — 517,74 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მინსკელი ი. სიდოროვი — 511,02, მესამეზე — კიეველი ე. ცირულნიკოვი — 486,81. ვაჟებს შორის ყველას აჯობა მინსკელმა ა. პორტნოვმა — 636,60. მეორე ადგილი დაიკავა ელექტროსტალელმა ს. ფელანოვმა — 580,29, მეს